## <u>მისიის დებულება</u>

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია არის არაკომერციული, არაპოლიტიკური, არასამთავრობო ორგანიზაცია. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დემოკრატიის ხელშეწყობა და პარტნიორ ორგანიზაციებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა, რის განსახორციელებლადაც, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია გაიღებს მთელ თავის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას და თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

***Association of Young Economists of Georgia*** is non-profit, non-political, non-governmental organization. Association of Young Economists of Georgia is dedicated to support the development of civil society, promote democracy and cooperate with partner organizations, institutions and private sector in order to contribute to the community advance. We believe that the Association of Young Economists of Georgia assists changes in sustainable economic and social development of the country. On this, the Association of Young Economists of Georgia dedicates all its passion and professionalism.

## <u>ჩვენი ხედვა</u>

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, კერძო სექტორის განვითარებისა და წარმატებული რეფორმების ხელშეწყობა.

ეკონომიკური განათლების ხარისხისა და ახალგაზრდა ეკონომისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

## <u>Our Vision</u>

Support of economic growth in Georgia, progress in private sector and successful reform promotion.

Enhancement of quality of economic education and professional skills of young economists.

## <u>გამგეობის თავმჯდომარისგან</u>

2006 წელი საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისთვის სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი ერთ-ერთი წელი იყო. ორგანიზაციამ მოახერხა ის, რომ აქტიურად ემუშავა საზოგადოებისათვის პრიორიტეტულ და აქტუალურ საკითხებზე. ორგანიზაციის წარმატების უზრუნველყოფაში დონორი ორგანიზაციების როლი არანაკლებ მნიშვნელოვანია და მათ მხარდაჭერას ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ორგანიზაცია აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციებში, იგი გახდა „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა

კოალიციის და სამოქალაქო ინიციატივების ცენტრის თანადამფუძნებელი. მათი საქმიანობის არეალი მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ასოციაციის როლს და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზოგადოებრივ სექტორში. სამომავლოდ დაგეგმილია ამ მხრივ საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოება.

2006 წლის საგაზაფხულო საერთო კრებაზე მოხდა ორგანიზაციის საწესდებო ცვლილებები, დაზუსტდა და ერთმანეთისგან მკვეთრად გაიმიჯნა გამგეობისა და აღმასრულებელი სამსახურის კომპეტენციები, გაძლიერდა აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის არეალი და მის კომპეტენციაში სხვა სფეროებთან ერთად ფილიალების საქმიანობის საერთო კოორდინაციაც მოექცა. ორგანიზაციაში ფუნქციონირება დაიწყო კვლევითმა ცენტრმა, სადაც ახალგაზრდა ეკონომისტები ასოციაციის ეკონომიკური განათლების პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ხვდებიან. მომზადდა კვლევები პრივატიზაციის სფეროში, მინერალური რესურსების მოპოვების რეგულირების, საფონდო ბაზრების საქმიანობის და სხვა მიმართულებებით. კვლევითი ცენტრი ხელს უწყობს დამწყები ანალიტიკოსების კვალიფიციურ ზრდას და საზოგადოებას უზრუნველყოფს კვალიფიციური კვლევითი პროდუქტებით. წარმატებულად მიმდინარეობდა ორგანიზაციის ეკონომიკური განათლების პროგრამა, რასაც ის მრავალრიცხოვანი სტუდენტების ნაკადი ადასტურებს, რომელთაც ამ პროგრამის გავლის, პრაქტიკული ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებების სწავლების სურვილი და მათი ხარისხის შესახებ სათანადო ინფორმაცია გააჩნიათ. ეკონომიკური განათლების პროგრამა პირველ ეტაპზე ორგანიზაციას მოხალისეებით, ხოლო მეორე ეტაპზე კვალიფიციური ეკონომიკური კადრებით უზრუნველყოფს, რომლებიც ექსპერტებად ერთვებიან ასოციაციის მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებში.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ორგანიზაცია კვლავ მნიშვნელოვანი ამოცანების წინაშე დგას, რაც ორგანიზაციის მისიის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. ვფიქრობთ, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია კვლავაც წარმატებულად გაართმევს თავს მის წინაშე დაკისრებულ ახალ ამოცანებს და გააგრძელებს ისეთ საქმიანობას, რასაც სრულფასოვანი საზოგადოებრივი საქმიანობა და სამოქალაქო ინტერესების დაცვა ჰქვია.

***დავით ნარმანია***

გამგეობის თავმჯდომარე

## **<u>დონორები და პარტნიორები</u>**

## **<u>ისტორია</u>**

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია დაარსდა 1989 წლის 25 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ. ეს იყო პერიოდი, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ფორმირებას.

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ასოციაციაში ყოველთვის იყო ახალგაზრდების კატეგორია, რომელთაც შეეძლოთ საკუთარი ძალისხმევითა და ენთუზიაზმით ხელი შეეწყოთ პროფესიონალიზმის ამაღლებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ასოციაციას ამჟამად გააჩნია ოთხი რეგიონალური ოფისი ბათუმში, ქუთაისში, საჩხერესა და გორში. პირველი ფილიალი დაარსდა აჭარის რეგიონში 1998 წელს. იგი ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქმიანობდა. 2001 წლიდან ფუნქციონირებს იმერეთის ფილიალი, რომლის სათაო ოფისი განთავსებულია ქ. ქუთაისში, ხოლო მისი წარმომადგენლობა – ქ. საჩხერეში. ასევე, იმერეთის ფილიალი მოიცავს საინიციატივო ჯგუფებს ქ. წყალტუბოში, ხარაგაულში, ტყიბულში, ჭიათურასა და სამტრედიაში. მეოთხე – შიდა ქართლის რეგიონალური ფილიალის შექმნის იდეა 2002 წელს გაჩნდა. ამის უმთავრესი საფუძველი რეგიონში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ადგილობრივი პროფესიონალი ეკონომისტების ინიციატივა იყო. საინიციატივო ჯგუფის აქტიური ძალისხმევისა და მუშაობის შედეგად, 2004 წელს ქ. გორში ფუნქციონირება დაიწყო შიდა ქართლის ფილიალმა.

დაარსების პერიოდიდან დღემდე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში მოქმედებს ეკონომიკური განათლების პროგრამა. საწყის ეტაპზე პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 3 ტრენინგ კურსი ტარდებოდა. 2005 წლისათვის სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშულება ჰქონდათ ცოდნა მიეღოთ ეკონომიკის 18 სხვადასხვა სფეროში. დღემდე 4700-ზე მეტმა პირმა გაიარა ეკონომიკური განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სემინარ-ტრენინგები.

2005 წლის გაზაფხულზე ასოციაციაში დაარსდა კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია ეკონომიკის აქტუალური სფეროების ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით ხელი შეუწყოს ორგანიზაციის პროფესიულ ზრდასა და ეკონომიკის დარგების განვითარებას.

ბოლო წლებში საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის საქმიანობა განსაკუთრებით წარმატებული და ეფექტიანი იყო, განხორციელდა მრავალი პროექტი მონიტორინგის, ანალიზის, ცნობიერების ამაღლებისა და კანონშემოქმედებითი კუთხით:

**„ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების ხელშეწყობა“ – 2000 წელი, ფინანსური მხარდაჭერა – OSGF.** პროექტი განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონში, მომზადდა ანგარიშები რაიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ჩატარდა სემინარ-ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის.

**„ლიცენზირების კანონმდებლობის მხარდაჭერა“ – 2002 წელი, ფინანსური მხარდაჭერა – IღIშ ჩენტერ.** პროექტის ფარგლებში ექსპერტებისა და ლიცენზიის/ნებართვის გამცემი უწყებების წარმომადგენლობის მონაწილეობით მომზადდა 26 დარგობრივი კანონპროექტი სალიცენზიო და სანებართვო სფეროების მიხედვით. შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა ლიცენზირების სისტემის მოწესრიგება საქართველოში.

**„გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქართველოს საბაჟოზე“ – 2003 წელი, ფინანსური მხარდაჭერა – შჩ – საქართველოს მისია.** პროექტის ფარგლებში

მომზადდა გზამკვლევი „„როგორ გადავკვეთოთ საქართველოს საბაჟო საზღვარი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას 800-ზე მეტი ექსპორტიორი და იმპორტიორი მეწარმის შესახებ.

**„ახალი სალიცენზიო კანონმდებლობის დანერგვა“ – 2003-2004 წლები; ფინანსური მხარდაჭერა – IღIშ ჩენტერ.** სალიცენზიო კანონების დანერგვა განხორციელდა 3 სფეროში – კვების პროდუქტების წარმოება, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა, სამეწარმეო საქმიანობა ვეტერინარულ სფეროში. პროექტის ფარგლებში გამოიცა 3 გზამკვლევი, მომზადდა 8 ანალიტიკური ანგარიში, 11 სამუშაო შეხვედრა ლიცენზიის/ნებართვის გამცემი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისათვის, ჩატარდა 12 კონფერენცია მეწარმეებისათვის.

**„გამჭვირვალობის ხელშეწყობა რეგიონალურ საბაჟოებზე“ – 2001-2002 წლები; ფინანსური მხარდაჭერა – სამხრეთ კავკასიის თანაშრომლობის პროგრამა, ევრაზიის ფონდი.** პროექტის საწყის ეტაპზე მომზადდა დეტალური ანალიტიკური ანგარიში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბაჟო სისტემებში არსებულ მდგომარეობაზე. გამოიცა და გავრცელდა გზამკვლევები, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას სამივე ქვეყანაში მოქმედი საბაჟო რეჟიმებისა და პროცედურების შესახებ. საბაჟო საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მათი წარმოშობის მიზეზების იდენტიფიკაციისათვის პროექტის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 1200 ფიზიკური პირი და მეწარმე.

**2000 წელი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია მონაწილეობდა საგადასახადო რეფორმის პროგრამაში, რომელიც განხორციელდა USAID-ისა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ.** პროგრამის შესაბამისად, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია ჩართული იყო საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს რეფორმის პროგრამის მომზადებასა და რეფორმის მთლიანი ციკლის განხორციელებაში საქართველოს მასშტაბით.

**„პრეზიდენტის ანტიკორუფციული ბრძანებულების დანერგვის მონიტორინგი“ 2002 წელი, ფინანსური მხარდაჭერა – შ .** პროექტი ხორციელდებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2001 წელს გაწეული ხარჯების მონიტორინგის მიზნით. მონიტორინგი გაეწია განათლების სამინისტროს, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგზაო ფონდის მიერ 2001 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვას. 2002 წლის ნოემბერში გამოიცა ვრცელი დოკუმენტი ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებში არსებული დარღვევების შესახებ. დოკუმენტი პრეზენტირებული იქნა ფართო საზოგადოებისათვის და დარღვევების შესაბამისი რეკომენდაციები იქნა მიწოდებული სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის

**„ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი“ – 2001–2003 წლები; ურბანული ინსტიტუტის სუბკონტრაქტორი; ფინანსური მხარდაჭერა – შ I .** პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისათვის მომზადდა სემინარების ჩატარების უნიფიცირებული სცენარი ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ. ასევე მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ“ და პროგრამული ბიუჯეტების ფორმის პროექტი, ჩატარდა სემინარ-ტრენინგები.

**„ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი“ – 2004-2005 წლები; ფინანსური მხარდაჭერა – IდIშ ცენტრე ( შ I ).** პროექტის განხორციელების შედეგად სახელმწიფო სტრუქტურებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია და უნარ-ჩვევები ლიცენზიის/ნებართვის გაცემის პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწარმეთა ინფორმირებულობის დონე. პროექტის ფარგლებში გაიმართა 10 სამუშაო შეხვედრა და მოეწყო განხილვები ლიცენზიის/ნებართვის გამცემი უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით; 250-ზე მეტ მეწარმეს ჩაუტარდა ტრენინგები; 1000-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო უფასო კონსულტაცია „ლიცენზირების ცხელი ხაზის“ საშუალებით.

პროექტის ფარგლებში ლიცენზირების ახალ კანონთან დაკავშირებით მომზადდა შენიშვნები და რეკომენდაციები. მომზადებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ ახალ კანონში.

**„სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით მოსახლეობის ინფორმირების პროექტი“ – 2005 წელი; ფინანსური მხარდაჭერა: საქართველოს გაეროს ასოციაცია; ქ. ბათუმის მერია.** პროექტი განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის მიერ. პროექტის განხორციელების შედეგად აჭარის მოსახლეობამ მიიღო დაწვრილებითი ინფორმაცია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესახებ. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი „მრგვალი მაგიდა“, რომელშიც მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

**„საქართველოს დეცენტრალიზაციის მოდელის შემუშავება“ – 2004-2005; ფინანსური მხარდაჭერა: ფონდი „„ღია საზოგადოება – საქართველო“, ევრაზიის ფონდი, GTZ .** პროექტის განხორციელების შედეგად შემუშავდა კონცეფტუალური მოდელი, მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი და მოხდა მისი დანერგვის ლობირება. ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარდა 20-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა. შემუშავდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ოპტიმიზაციის მოდელი, რის საფუძველზეც შეიქმნა საქართველოს გამსხვილებული თვითმმართველი ერთეულებისა და მხარეების დეტალური რუკა.

**„ვაჭრობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ – 2004-2005; ფინანსური მხარდაჭერა: ევრაზიის ფონდი, სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამა. პარტნიორები: საერთაშორისო გამჭვირვალობა – სომხეთი, მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ფონდი – აზერბაიჯანი.** პროექტის ფარგლებში ჩატარდა კანონმდებლობისა და ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური ანალიზი. გაიმართა სამი რეგიონალური შეხვედრა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ექსპერტების, ადგილობრივი ბიზნესმენებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში გამოიცა რეგიონალური ბიულეტენის „ვაჭრობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ სამი ნომერი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

**„ვაშენოთ მომავალი“ – 2005; ფინანსური მხარდაჭერა: ჩღშ, შ I .** პროექტის განხორციელების შედეგად ჩატარდა 12 ტრენინგ-სემინარი სხვადასხვა ეკონომიკურ თემაზე; მონაწილეებმა შეიძინეს ეკონომიკური აზროვნების უნარ-ჩვევები; შედეგად, მათ საშუალება მიეცათ გამხდარიყვნენ სამოქალაქო

საზოგადოების აქტიური წევრები. აღნიშნული პროექტი საეა-სთვის სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობის პირველი პრეცენდენტია. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა საზაფხულო ბანაკი.

## BACKGROUND

Young Economists Association of Georgia was established by students of Tbilisi State Javakhishvili University on April 25, 1989. This was the time, when the formation of new economic thinking and market economy principles became order of the day in Georgia.

In spite of many obstacles, there has always been and still is the category of young people in the Association, who can use their best efforts and enthusiasm to promote the improvement of professional skills and well-being of the country.

This is the list of founders of the Young Economists Association of Georgia: Aleksi Aleksishvili; Giorgi Tabuashvili; Vazha Petriashvili; Davit Ramishvili; Kakhaber Shaishmelashvili; Nodar Khaduri and Giorgi Rusitashvili.

Today, the association has four regional offices in Batumi, Kutaisi, Sachkhere and Gori. The first branch office was established in Adjara region, in 1998. It was one of the first non-governmental organizations in Autonomous Republic of Adjara. Imereti branch office with its directing agency in Kutaisi and representative office in Sachkhere is active since 2001. The Imereti branch office comprises Initiative Groups in Tskaltubo, Kharagauli, Tkibuli, Tchiatura and Samtredia. The idea of establishing a regional branch office in Shida Kartli started up in 2002. The difficult social-economic situation in the region became the underlying reason for this idea; and its driving force was the initiative of local professional economists. The branch office in Shida Kartli was made in Gori, in 2004, due to active efforts of Initiative Group.

From the day of AYEG establishment, the economic education program is active in the Young Economists Association of Georgia. At the initial stage of the program, it covered only 3 training courses. By 2005, students and interested persons had the opportunity to receive the knowledge in 18 various disciplines of economics. To-date, over 4,700 persons attended training and workshops under the economic education program.

In spring 2005, Research Centre was established at the Association, with the purpose to promote the improvement of professional level and to support the development of various sectors of economy.

Recently, the activity of the Young Economists Association of Georgia has been especially successful and efficient; many projects have been implemented, in terms of monitoring, analysis, increase of awareness and lawmaking:

**“Promotion of Development of Local Governance”, 2000. Financial support from OSGF,** the project was implemented in 12 regions of Georgia, reports were provided on social-economic development of districts, workshops and trainings held for representatives of local authorities.

**“Support of Licensing Laws”, 2002. Financial support from IRIS Centre.** 26 sectoral bills in licensing and permitting were prepared within the frameworks of this project, with the participation of experts and representatives of license issuing agencies. This project materially accelerated the regulation of licensing system in Georgia.

**“Promoting Transparency at Georgian Customs”, 2003. Financial support from OSCE Mission to Georgia.** “How to Cross the State Border of Georgia” Guidebook was prepared in the Georgian, Russian and English languages. The Database with the information on over 800 business units (importers and exporters) was also created.

**“Implementation of New Licensing Laws”, 2003-2004. Financial support from IRIS Center.** The licensing laws were put in execution in three sectors: food production, medical and pharmaceutical activity, economical activity in veterinary. Three guidebooks were published, 8 Analytical Reports prepared, 11 working meetings arranged with representatives of license/permit issuing agencies, 12 conferences carried out for businessmen, within the frameworks of this project.

**“Promoting Transparency at Regional Customs”, 2001-2002. Financial support from South Caucasus Cooperation Program, Eurasia Foundation;** at the initial stage of this project, detailed analytical report on status of customs systems of Georgia, Armenia and Azerbaijan was elaborated. Guidebooks, with the information on customs regimes/treatments and procedures in all of these three countries were prepared, published and distributed. 1200 natural persons and businessmen were interviewed, within the framework of this project, for the identification and explanation of the problems related to crossing of customs boundaries.

**2000. Young Economists Association of Georgia participated in the Tax Reform Program, implemented by the USAID and Ministry of Tax Revenues.** During this program, Young Economists Association of Georgia was involved in the preparation of reform program of the Ministry of Tax Revenues and in the national-level implementation of the entire reform cycle.

**”Monitoring of Presidential Anticorruption Decrees”, 2002,** with the financial support from OSGF. The Project was being implemented through budget organizations, with the monitoring purpose of the expenditures incurred in 2001. The monitoring was executed in terms of the expenditures from Central Budget incurred by the Ministry of Education, State Youth Authority and Travel Fund of Georgia. A large document concerning the torts in the above organizations was released in November 2002. This document was presented to the general

public, while the recommendations following the torts were supplied to a number of state organizations.

**“Promotion of Local Government and Self-government Development” project, 2001-2003;** subcontractor of the Institute of Urbanization. Financial support from USAID. Unified scenario of workshops on the methods of determination and planning of budget priorities was prepared for various territorial units of Georgia, within the frameworks of this project. Also, the draft law ”On Local Budgets” and draft format for program budgets were elaborated, workshops and trainings arranged.

**“Implementation of new licensing laws” - August, 2004 – June, 2005; Financial support: IRIS Georgia, USAID.** As a result of implementation of the project the state structures received detailed information and acquired skills related with procedures of issuing of licenses/permits. Also, a level of awareness of businessmen significantly increased. Within the project 10 working meetings and considerations have been conducted with participation of representatives of the bodies issuing licenses/permits; trainings for more than 250 businessmen have been conducted; more than 1000 interested persons received free consultations by means of “licensing hot line”. Within the project notes and recommendations have been prepared in relation with the new law on licensing. The greater part of the prepared recommendations was reflected in the new law “On licenses and permits”.

**“Project on Information of Population about Social and Health Programs” – 2005; Financial support: UN Association of Georgia; Batumi city administration.** The project was implemented by the Adjara branch of the Association of Young Economists of Georgia. As a result of implementation of the project the population of Adjara received detailed information on social and health programs. Within the project 3 round tables have been conducted, in which non-governmental organizations and also governmental structures, including Health Ministry and Batumi city administration participated.

**“Development of Model of Decentralization of Georgia” – September, 2004-September, 2005; Financial support: “Open Society – Georgia Foundation”, Eurasia Foundation, GTZ.**
As a result of implementation of the project a conceptual model has been developed, a package of appropriate legislative amendments has been prepared and their introduction has been lobbied. More than 20 working meetings have been conducted with local authorities and representatives of civil society. A model of optimization of administrative-territorial units of Georgia has been designed; based on it a detailed map of aggregative self-government units and provinces have been compiled.

**“Trade facilitation in Countries of Southern Caucasus”- January, 2004 – September, 2005; Financial support: Eurasia Foundation, program of cooperation of Southern Caucasus. Partner organizations: International transparency – Armenia, Foundation of business and market economical development – Azerbaijan.** On the first stage of implementation of the project an analysis of

legislation and export-import statistics has been conducted. Three regional meetings have been conducted with participation of experts of Georgia, Armenia and Azerbaijan, local businessmen and representatives of state institutions. Within the project three issues of regional bulletin “Trade promotion in Southern Caucasus” in Georgian, English and Russian languages have been published.

**Building For the Future, BFF - 2005; Financial support: CRS, USAID**. In 2005 as a result of the project implementation 12 training workshops have been conducted on various economical subjects; the participants acquired skills of economical thinking that would give them opportunity to become active members of a civil society. The mentioned project is the first precedent of AYEG’s relations with secondary school students. In scopes of the project the summer camp has been conducted.

**<u>წარმომადგენლობა კომისიებსა და კომიტეტებში</u>**

1. კოალიცია: ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა
2. კოალიცია: საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა
3. ალიანსი: მომავალი სიღარიბის გარეშე
4. საგზაო დეპარტამენტის კომისია
5. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის და დემოკრატიისათვის
6. კოალიცია: სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი
7. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, სამეთვალყურეო საბჭო
8. რეფორმებისა და განვითარების ფონდი, სამეთვალყურეო საბჭო
9. სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საუკეთესო ბიზნესმენთა გამოსავლენი კომისია

**<u>Representation in the committees and commissions:</u>**

1. Coalition: business development support
2. Coalition: For Transparency of Public Finances
3. Coalition: Future Without Poverty
4. Commission of Road Department
5. NGO Coalition for local self-government and democracy
6. Coalition: Civil Initiative Centre
7. Foundation for Municipal Development of Georgia, Supervisory Board.
8. Foundation of Reforms and Development, Supervisory Board
9. Georgian Chamber of Commerce and industry

## ჩვენი პრიორიტეტები 2007-2010 წლებისთვის

**ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა**

საბაჟო ადმინისტრირება
საგადასახადო ადმინისტრირება
ლიცენზირება
ბიზნესის რეგისტრირების სისტემა
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება
ტურიზმი

**ეკონომიკურ სექტორში სახელმწიფო მმართველობის ხელშეწყობა**

სახელმწიფო ფინანსები
ადგილობრივი თვითმმართველობა
პრივატიზაცია
სოციალური სისტემა
ათასწლეულის განვითარების მიზნები

**ახალგაზრდა ეკონომისტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა**

სემინარ-ტრენინგები ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით
ეკონომიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა
ახალგაზრდების კვლევითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარება
ახალგაზრდა ეკონომისტების დასაქმების ხელშეწყობა

**ჩვენი მიდგომა**

ანალიტიკური კვლევები
რეკომენდაციების შემუშავება
კანონპროექტების მომზადება და ექსპერტიზა
განვითარების გეგმების ფორმირება
ტრენინგები და კონფერენციები
კონსულტაციები
გზამკვლევისა და საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება

<u>მუშაობის პრინციპები</u>

**კონსტრუქციული თანამშრომლობა** - ასოციაცია თანამშრომლობს ნებისმიერ დაინტერესებულ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, მას-მედიასთან.

**საზოგადოების ინფორმირებულობა** – ასოციაციის საქმიანობა არის ღია და გამჭვირვალე; ფართო საზოგადოებას მუდმივად აწვდის ინფორმაციას მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

**სისტემურობა** – ასოციაცია ნებისმიერ სფეროზე მუშაობისას ითვალისწინებს ურთიერთკავშირს და ზეგავლენას მთლიან ეკონომიკურ პროცესებზე, განიხილავს რა მას ერთიან კონტექსტში.

## Our Priorities for 2006

**Support of Business Environment Improvement**

Customs Administration
Tax Administration
Licensing
Business Registration System
Development of small and medium-sized business
Tourism

**Support of State Governance in Sector of Economy**

State Finances
Local Governance
Privatization
Social System
Millennium Development goals

**Supporting the proffesionalism development of young economists**

Training Sessions in economy and business
Supporting the development of economic way of thinking
Developing analytical and research skills of young people
Supporting the employment of young economists

## Our Aproach

Analytical Study
Elaboration of Recommendations
Drafting of Bills and Expert Examination
Formulation of Development Plans
Trainings and Conferences
Consulting Sessions
Preparation of Guidelines and Newsletters

## Principles of Operation

**Structural interaction** - the Association collaborates with any and all interested state, public and international organizations, scientific and education institutions, private sector and mass-media.

**Public Awareness** - the Association's activities are open and transparent, it constantly delivers to the society information and news about economic processes.

**Systematic approach** - while working on any sphere the association envisages interrelationships and interaction on the entire economic process, and considers it in the entire context.

## საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის სტრუქტურა

ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ. გამგეობა ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა. გამგეობა შედგება 15 წევრისგან, რომლებსაც ირჩევს საერთო კრება. გამგეობის შემადგენლობა ყოველწლიურად განახლდება ერთი მესამედით. გამგეობის სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს ასოციაციის საქმიანობას, ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს. აღმასრულებელი დირექტორი ირჩევა გამგეობის მიერ თავმჯდომარის წარდგინებით. აღმასრულებელი დირექტორი ქმნის სათათბირო ორგანოს – დირექტორატს, რომელთა შემადგენლობაში შედის: ფინანსური მენეჯერი, განვითარების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ადამიანური რესურსების მენეჯერი.

წესდების შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლს, ასევე აღრიცხვიანობისა და საქმიანობის რევიზიას ახორციელებს ასოციაციის სარევიზიო კომისია.

ასოციაციის მმართველობითი ორგანოების მონიტორინგს, შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას ახორციელებს ასოციაციის მრჩეველთა საბჭო.

## Structure

The supreme body of the association is **General Assembly** that is convened by the Board once a year. **Board** is a governing body of the Association. The Board consists of fifteen members elected through the General Assembly. One third of the Board members is subject to annual election. Board's sessions are conducted bimestrial. **Chairman of the Board** directs the activity of the Association, presides board sessions. **Executive Director** is elected by Management Board through the presentation of the Chairman. Executive Director sets up executive Directorate consisting of Financial Manager, Development Manager, PR-Manager, Administrative Manager and Human Resource Manager.

**Auditing Committee** is empowered to execute the monitoring and supervision of the implementation of the Charter, as well as economic and financial activity, and also auditing of the organization.

Monitoring, evaluation and recommendations to governing bodies of the Association are conducted by **Advisory Board.**

ორგანიზაციული სტრუქტურა

**Organizational Structure**



## 2006 წელს განხორციელებული პროექტები და პროგრამები

## Implemented programs and projects – 2006

**კამპანია: ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში**

**პროექტის განხორციელების პერიოდი:** ივნისი, 2005 – მარტი, 2006

**ფინანსური მხარდაჭერა:** ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM – საქართველოს წარმომადგენლობა, NOVIB

**პარტნიორი ორგანიზაციები:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, Welfare Foundation

**პროექტის მიზანია** გაეროს მიერ დეკლარირებული ათასწლეულის განვითარების მიზნების პოპულარიზაცია საზოგადოებაში და მათი პრიორიტეტულობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა სამთავრობო დონეზე.

**პროექტის ფარგლებში** მოხდა საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების პოპულარიზაცია; ჩატარადა სახელმწიფო სამეანო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი. აღნიშნული საქმიანობების საფუძველზე მოზადდება რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის. ამასთან, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობები საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის ხელშეწყობისთვის. ამ მიზნით, გამოიცა ელექტრონული ბიულეტენები, მომზადდა პუბლიკაციები თითოეული მიზნის შესახებ, ეთერში გავიდა 9 რადიო გადაცემა.

### CAMPAIGN: MILLENIUM DEVELOPMENT GOAL IN AGENDA GEORGIA

**Project's implementation period**: June, 2005 – March, 2006

**Financial support:** representative office of the British charitable organization OXFAM – Georgia, NOVIB

**Partner organizations:** Association of Young Lawyers of Georgia, Welfare Foundation.

**The goal of the project** is a popularization of the objectives of Millennium Development declared by UN for broad community and promotion of increasing of degree of their priorities on the governmental level.

Within the project we have done evaluation and analysis of achievement of the objectives of Millennium Development in Georgia, also was implemented the monitoring of the state obstetrics program implementation. Based on the mentioned activities recommendations are being prepared for appropriate public institutions. At the same time we permanently fulfil various activities for promotion of increase of awareness of the society. With that end in view electronic bulletins were published, we prepared publications on each objective, 9 radio broadcasts were put on the air.

## კამპანია: მომავალი სიღარიბის გარეშე

**პროექტის განხორციელების პერიოდი:**
ივნისი, 2006 – მაისი, 2007

**ფინანსური მხარდაჭერა:** ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM – საქართველოს წარმომადგენლობა, Oxfam NOVIB

**პარტნიორი ორგანიზაციები:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, Welfare Foundation

**პროექტის მიზანია** საქართველოს მთავრობაზე ზეგავლენით უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის რაოდენობისა და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის დონის შემცირება; ასევე, ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის ხელშეყობა.

**პროექტის ფარგლებში** სისტემატურად ეწყობოდა სამუშაო შეხვედრები კოალიციის წარმომადგენლებთან. ჩატარდა რეგიონული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ბათუმში, ქუთაისში, გორსა და ზუგდიდში. შეხვედრებს დაესწრნენ 80-ზე მეტი რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ალიანსის მოხალისეებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგი. 2006 წლის 17 ოქტომბერს – სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს – გაიმართა აქცია ვაკის პარკში, სადაც დაიწყო პეტიციებზე ხელმოწერების შეგროვება და მოეწყო stand up აქცია. თეთრი სარტყლის დღეები ასევე გაიმართა სამ მარტს – დედის დღეს და პირველ ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. 2007 წლის 3 მარტს დაგეგმილია აქცია, რომლის ფარგლებშიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს – ლადო ჭიპაშვილს და საქართველოს პარლემენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს გადაეცემათ 20 000 მოქალაქის მიერ ხელმოწერილი პეტიცია.

კამპანიის ფარგლებში ჩაიწერა და გავრცელდა კომპაქტ დისკი „მუსიკოსები სიღარიბის წინააღმდეგ“ ასევე მიმდინარეობს ინტერნეტ-აქცია (რეგისტრაცია ვებ-გვერდზე www.whiteband.ge), sms აქცია 17-10 და გროვდება ხელმოწერები პეტიციებზე.

ალიანსი „მომავალი სიღარიბის გარეშე“ წარმოადგენს საერთაშორისო მოძრაობის – „გლობალური მოწოდება ქმედებისაკენ სიღარიბის წინააღმდეგ“ (GCAP) ეროვნულ პლატფორმას.

**Project title:** “Future without Poverty” (Georgia MDG/GCAP Campaign)

**Project implementation period**: June. 2006 – May. 2007

**Financial support**: British Charity Organization OXFAM – Georgian Representation, Oxfam NOVIB

**Partner organizations:** Georgian Young Lawyers Association, Welfare Foundation.

**Project aim**: to contribute to reducing number of people living in extreme poverty and the level of maternal and child mortality through influencing the GoG to apply and implement MDG oriented policy and practice.

**In scopes of the project** workshops with the coalition representatives were held systematically. Regional meetings with non governmental organizations were held in Batumi, Kutaisi, Gori and Zugdidi. These meetings were attended by more than 80 participants. The volunteers of the alliance were delivered with special training sessions. On October 17 2006 –International Day against Poverty - was held a mobilization day in The Vake Park. On the same day collecting signatures of campaign supporters started. A petition with 20 000 signatures was aimed to be collected by the 3rd of March 2007 when they will be handed to the representative of the government - the minister of labour, health and social care – Lado Chipashvili and Gigi Tsereteli – the head of the committee of healthcare of parliament.

In scopes of the campaign CD "Musicians against Poverty" was recorded and disseminated, also internet and SMS mobilization actions (registration on the web-site www.whiteband.ge) took place..

Alliance "Future Without Poverty" represents international movement's - "Global Call To Action Against Poverty" (GCAP) national platform.

## ქ. ქუთაისის 2005 წლის ბიუჯეტის მონიტორინგი

**პროექტის განხორციელების პერიოდი:** ივნისი, 2005 – მაისი, 2006

**ფინანსური მხარდაჭერა:** ფონდი „ევრაზია“.

**პროექტის მიზანია:** ქ. ქუთაისის თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე საქმიანობებში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციის დონის შემცირება, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა ინტერესების და საჭიროების გათვალისწინების ხელშეწყობა.

**პროექტი განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის ფილიალის მიერ.**

**პროექტის ფარგლებში** მოხდა ქ. ქუთაისის 2005 –2006 წლის საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგი და ანალიზი; აღმოჩენილ იქნა კონკრეტული კორუფციული სამართალდარღვევები და მოხდა შესაბამისი რეაგირება; მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა შეიძინა გამოცდილება და ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების და საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგის კუთხით. შეიქმნა მოკლევადიანი ანტიკორუფციული გეგმა, რომელიც მომავალში არჩეული თვითმმართველობის ორგანოსათვის შეასრულებს სახელმძღვანელო დოკუმენტის როლს. მომზადდა საინფორმაციო ბანკი, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება თვითმმართველობის ორგანოებს წინა წლებში არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად.

## MONITORING OF KUTAISI BUDGET 2005

**Implementation period of the project:** June, 2005 – may, 2006

**Financial support:** “Eurasia” Foundation.

**The goal of the project is:** ensuring of transparency of budget and off-budget activities of the self-government bodies of the city of Kutaisi and decreasing of corruption level, as well as promotion of taking into account of interests and requirements of citizens by local authorities.

**The project is implemented by the Imereti branch of the Young Economists Association of Georgia.** Within the project a monitoring and analysis of budget processes in Kutaisi in 2005 -2006 have been conducted; concrete corruption offences were revealed and respective response were taken; a certain part of population acquired experience and information with the aspect of monitoring of public institutions and budget processes. Short-term anticorruption plan has been drafted, to play a role of management directive for next elected self-government authority. Information bank has been prepared, which will significantly help the self-government authorities in analyzing of situation existed in preceding years.

**„ქ. ქუთაისის ბიუჯეტის რეფორმა”**

**პროექტის განხორციელების პერიოდი:** მაისი, 2005 – ივლისი, 2006

**ფინანსური მხარდაჭერა:** “ურბანული ინსტიტუტი”, USAID.

**პროექტის მიზანია** პროგრამული ბიუჯეტის შედგენის გეგმის პროექტის ჩამოყალიბება.

**პროექტი განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის ფილიალის მიერ.**

**პროექტის ფარგლებში** იმერეთის ფილიალის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ფინანსების მართვის სემინარებში, რომელიც ჩატარდა ურბანული ინსტიტუტის მიერ. შედეგად, ფილიალში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შემდგომში გააგრძელებს მუშაობას ქ. ქუთაისის პროგრამული ბიუჯეტის, ფინანსური პოლიტიკის დოკუმენტის, საბიუჯეტო პროგრამების და ქვეპროგრამების ჩამოყალიბების მიზნით. პროექტის განხორციელების შედეგად: ქ. ქუთაისის საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაინერგა ახალი საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, რომელიც საშუალებას იძლევა გაცილებით გამჭვირვალე გახდეს თითოეული მხარჯავი ერთეულის ბიუჯეტი: გადამზადდა საბიუჯეტო ორგანიზაციის 150 ბუღალტერი; მოამზადდა ქ. ქუთაისში პროგრამული ბიუჯეტის შედგენის დეტალური სამოქმედო გეგმა.

## “REFORM OF KUTAISI BUDGET”

**Implementation period of the project:** May, 2005 – July, 2005

**Financial support:** “Urbanization Institute”, USAID.

**The goal of the project is** program budget elaboration plan drafting.

**The project is implemented by the Imereti branch of the Young Economists Association of Georgia. Within the project the** members of Imereti branch participated in workshops on management of state finances, which has been conducted by the Urbanization Institute. As a result, a task group has been established in the Imereti branch, which in future will continue work with the goals of program budget of Kutaisi, documents of financial policy, formation of budget programs and subprograms. As a result of project’s implementation new forms of budget applications were introduced in budget organizations of Kutaisi, which gives possibility to make more transparent budget of each expending unit: accountants of 150 budget organizations have been retrained; detailed working plan of formation of program budget for Kutaisi has been prepared.

**„ქ. ქუთაისის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების მონიტორინგი“**

**პროექტის განხორციელების პერიოდი:** სექტემბერი, 2005 – თებერვალი, 2006

**ფინანსური მხარდაჭერა:** ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო”.

**პროექტის მიზანია:** ქ. ქუთაისის სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების დამკვიდრება და განვითარების ხელშეწყობა, ამავდროულად სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა ინტერესების დაცვის ხელშეწყობა.

**პროექტი განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის ფილიალის მიერ.**

